

Image not found or type unknown

# საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) მხარდაჭერა სამოქალაქო ჩართულობისა და მონიტორინგის გზით

**პროექტის სახელი:** საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) მხარდაჭერა სამოქალაქო ჩართულობისა და მონიტორინგის გზით

**ხანგრძლივობა:** ოქტომბერი, 2019 - ოქტომბერი, 2021

**ბიუჯეტი:** 239 824 ევრო

**კომპონენტი:** საჯარო მმართველობა

**პარტნიორი ორგანიზაცია:** ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

**დონორი:** European Commission

**მიზანი:** საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) განხორციელების ალტერნატიული მონიტორინგი

ევროკომისიის მხარდაჭერითა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან აქტიური თანამშრომლობით, 2019 წლის ოქტომბრიდან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) ახალი პროექტის იმპლემენტაცია დაიწყო, რომელიც საჯარო მმართველობის რეფორმას დაუჭერს მხარს ინოვაციების, სხვადასხვა აქტორებთან დიალოგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით. პროექტის ფარგლებში, ორგანიზაციები დააკვირდებიან რეფორმის სამოქმედო გეგმისა და გზამკვლევის განხორციელების პროცესს. გარდა გრანტიორი ორგანიზაციებისა, პროექტის იმპლემენტაციაში ჩაერთვებიან რეგიონული ორგანიზაციებიც, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გაზრდიან ცნობადობას საჯარო მმართველობის რეფორმისა და განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**  
**GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION**

